№ 2798
პარასკევი,
15 აპრილი

ცნობის ფურცელი

№ 2798
პარასკევი
15 აპრილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. — ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გაზეთი
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა იქმოიგზავნოს.—პირადად მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

სოფიო გიორგის ასული გრიგორიევისა, მღ. ალექსი კარპესის ძე თევზაძე, სევერიან ოტიას ძე ლორთქიფანიძე, მიხეილ ზაქარიას ძეს დევიძე და მარიამ პავლეს ასული თევზაძისა, ნინო პავლეს ასული ლორთქიფანიძისა და ელისაბედ პავლეს ასული დევიძისა, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

პავლე სვიმონის ძის გრიგორიევისას.

პანაშვიდი გადახდილ იქმნება 15 აპრილს, საღამოს 7 საათზე. გამოსვენება 16 აპრილს, დილის 9 საათზე, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—182—1)

შაბათს, 16 მარტს, სტატსკი სოვეტნიკის

ივანე გაბრიელის ძის თულაშვილის

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, ნაშუადღევის 1 საათზე, გადახდილი იქნება პანაშვიდი, რასაც აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი და შვილები. (1—179—1)

ქართული წარმოდგენა ვეტცელის თეატრი.
სამშაბათს, 19 აპრილს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება
კომედია 4 მოქმ. ოსტროვსკისა, **შრომის ლუკმა** თარგ. ი. ევდოშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა, ტ. აბაშიძე, ნ. დავითაშვილი, ვ. ნებიერიძისა და ნ. ჯავახიშვილისა; ბ-ნი ვ. აბაშიძე, ს. სვიმონიძე, ი. იმედაშვილი, ი. ივანიძე, ზ. საფაროვი, გ. იორდანაშვილი და სხვა.
ანტრაქტებში ბ. **ქავსაძის** ლოტბარობით ქართული **ხორო** შეასრულებს რამდენსამე სიმღერას.
ადგილების ფასი 30 კ. ვიდრე 1 მ. და 50 კაპ. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.
რეჟისორი **ვ. აბაშიძე** გამგენი: **ზ. საფაროვი** და **ბ. ბეგლარიძე.**

სეზონის უკანასკნელი ტანისამოსი
მოსდის ყოველ-კვირა
ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის
შეკერილ ტანისამოსის პირველ კავკასიის ამხანაგობის საფაბრიკო დეპოს.
ნიკოლოოზის ხიდი, №№ 25—30.
ვურჩევთ
ადგილობრივ და სხვა ქალაქიდან ჩამოსულ მყიდველებს ჩვენის და სხვის სახელოსნოებში ინგლისურ და ფრანგულ ჟურნალებზე დამზადებულ უკანასკნელ ფასონის ტანისამოსს, მანდილოსნის ზედა ტანისამოსს, კაცის და ბავშვის ტანისამოსს და ყოველგვარ პალტოს, რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფაბრიკებში დამზადებულს. ფასი ხელ-საყრელია.
შეუვაჭრებლად. (0—4)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„გრანდ-ოტელი“
შუა ქალაქში, ფოსტის და ვაკზლის ახლოს. შენობა სრულიად გახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, სალხინო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი ან ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბ—15)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
მ. ი. ხიხინაძე. კბილის 8—9 საათ.
ნ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბაღარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაჟბაზიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. მ. მაჩაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
ექ. ქალი ე. ძ. იოსელიანი.—ქალისა და საბავ., სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ძ. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ხ. ი. ზარაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ექიმ-ხირურგებსაც.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სავადმყოფოში აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ფასის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.
ტელეფონი № 274.

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
ბინა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლახარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდი!.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. კუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიშვილისა № 11.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—58)

კბილის ექიმი
ე. ი. ბაღარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით (30—278—16)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
იიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციული ბანკის სახლი. (60—403—55)

მეგაღეოზა ივ. ივ. მაიერისა
მიხეილის პროსპ. № 101. ტელეფ. 587.
ჰყიდის მომავალ დღესასწაულისთვის აყვავებულ მცენარეებს და კისრულობს ცოცხალ ყვავილებისაგან ყველაფრის გაკეთებას. ფასი ხელმისაწვდენია. (1—180—1)

ახალი ამბავი

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ პეტერბურგში მოხდა სრულიად რუსეთის **ჟურნალისტთა კრება.** მეოთხე სხდომაზე, 8 აპრილს, როგორც პეტერბურგიდან გვატყობინებენ, ლაპარაკი იყო ეროვნულ საკითხზე. ხანგრძლივ კამათის შემდეგ საქმე ასე გადასწყდა:

1. „სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრებამ სცნო, რომ იმპერიის ძირითად კანონებით უზრუნველ-ყოფილ უნდა იქმნას რუსეთის იმპერიის ყველა ეროვნების თანასწორობა და ის უფლება, რომ ყველა ერს შეეძლოს თავისუფლად კულტურული განვითარება“.

ეს საზოგადო ფორმულა შეეხება საერთოდ ყოველ ერს და ყოველ ეროვნების ადამიანს.

2. „სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრება ითხოვს, მიეცეს ყველა ერს უფლება მოაწყოს კავშირები კულტურულ-ეროვნულ საჭიროებათა განსახორციელებლად (უფლება შეერთება-შეთანხმებისა ნაციონალურ სკოლის, ეკკლესიის და სხვ. მოსაწყობად).

ეს მუხლი შეეხება იმ ერებს, რომელთაც ტერიტორია არა აქვთ და გაფანტულნი არიან სხვა ერებს შორის.

3. „სრულიად რუსეთის ჟურნალისტთა კრება საჭიროდ სცნობს ერთის მხრივ დაცულ იქმნას პოლიტიკური ერთიანობა რუსეთის იმპერიისა, მეორეს მხრივ—სახელმწიფოს მართვა-გამგეობის დეცენტრალიზაციას და ამიტომ აცხადებს, რომ ცალკე ადგილებს და ერებს უფლება აქვთ ავტონომიის მიღებისა იმ ორგანიულ სტატუტის ძალით, რომელსაც შეიმუშავებს ყოველ ასეთ ადგილის ან ერის დამფუძნებელი კრება და რომელსაც დაადასტურებს (санкціонируетъ) სრულიად სახელმწიფოს პარლამენტი“.

ეს ფორმულა შეეხება იმ ერებს, რომელთაც ტერიტორია აქვთ. ავტონომიურ ტერიტორიის საზღვრები თვითონ ერმა უნდა გადასწყვიტოს დამფუძნებელ კრებაზე.

◆ **პეტერბურგიდან გვატყობინებენ:** აქ დაბეჯითებით ამბობენ, რომ ბაქოს გუბერნატორი თავ. ნაკაშიძე ინიშნება ქუთაისის გენერალ-გუბერნატორად, ხოლო თავ. ორბელიანი—ერევნისა და განჯის გენერალ-გუბერნატორად.

◆ როგორც გაზეთი „ნ. დ.“ გადმოგვცემს, **საქართველოს ეგზარხოსად ნიშნავენ** პეტერბურგის მიტროპოლიტს ანტონის, ხოლო იმის ადგილზე გადაჰყავთ კიევის მიტროპოლიტი ფლაბიანე.

◆ ამ ბოლო დროს **უცხოეთის გაზეთები** დიდის ინტერესით ადევნებენ თვალყურს ჩვენის ქვეყნის ცხოვრებას და ბევრი წერილებიც იბეჭდება როგორც აქედან გაგზავნილი, ისე რუსულ გაზეთებიდან გადაბეჭდილი. **სხვათა შორის,** ბელგიურ გაზ. L'etoile belqe-ის 17 აპრილის ნომერში მოთავსებულია წერილი საკუთარის კორესპონდენტისა ამ სათაურით: „საქართველოში“. წერილის ავტორი, ასწერს რა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას, ერთს ადგილას ამბობს: „კავკასიას აქამომდე ევროპიელები მხოლოდ შამილის ამბების შემწეობით იცნობდნენ, ან ქართველ ქალთა სილამაზით, რომელსაც აღტაცებით აგვიწერდნენ მოგზაურები. ყველა დარწმუნებული იყო, რომ აქ სცხოვრობდა ყველაზე უუქვეშევრდომილესი ხალხი, მაგრამ ნამდვილად კი დღეს კიდიდან კიდემდე ჩვეულებრივის მისალმების მაგიერ ერთმანეთს ეგებებიან ამ სიტყვებით: „გაუმარჯოს თავისუფლებასაო“! და ხალხი ბევრგან მარსელიეზას მღერის“.

მეორე ადგილას კორესპონდენტი აღტაცებით აგვიწერს გორში მომხდარ დემონსტრაციას და ასე ათავებს: „ისე გამიტაცა დიდებულმა სურათმა, თავისუფლების და ერთობის ხმამ, რომ ძალიან შევწუხდი, რატომ მეც გლეხი არა ვარ და მონაწილეობას არ ვიღებ მოძრაობაში“!

◆ დღეს, 15 აპრილისთვის, დანიშნულია კერძო თათბირი იმ საკითხების გამოსარკვევად, თუ როგორ უნდა მოხდეს კავკასიაში **ხალხის წარმომადგენელთა არჩევნები.** ამ საგნის შესახებ ამას წინად კერძო კრება იყო, მაგრამ ვერავითარს გამორკვეულს აზრს ვერ დაადგნენ. თათბირი მოხდება სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას სადგომში საღამოს 8 საათზე

◆ **ტფილისის საბჭოს ყოფილმა ხმოსანმა** მ. ი. დოლუხანოვმა წერილობითი სთხოვა ტფილისის სამაზრო ადმინისტრაციას, მფარველობა გამიწიეთ, რადგან **დიღმისა და მის მეზობელ სოფლის მცხოვრებნი** ფიქრობენ ძალით ისარგებლონ ჩემის საძოვარ ადგილებით და ხე-ტყითო.

◆ **ტრამვაი ქალაქში** არც გუშინ მუშაობდა. ამ ჟამად მოლაპარაკებაა მოსამსახურეთა დეპუტატებსა და საზოგადოების წარმომადგენელს შორის.

◆ ტფ. **გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორი** გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ საბუეს (თელავის მაზრა) და უჯარმის (ტფილ. მაზრა) სასოფლო სკოლებში, ხანგრძლივის შეწყვეტის შემდეგ, სწავლა ისევ განახლდა.

◆ როგორც „ტიფლ. ლისტ.“-ი გადმოგვცემს, **ტფილისის, გორის და სიღნაღის მაზრებში დაიხურა** ოცამდე სამრევლო სკოლა, რადგან გლეხები არ ჰგზავნიან ბავშვებს ამ სკოლებში.

◆ რედაქციამ მიიღო სურათებიანი ჟურნალ „ჯეჯილი“-ს მეოთხე ნომერი.

იმერეთის თავად-აზნაურთა საგანგებო კრება

10 აპრილი

ამ დღეს, რადგან კვირა დღეა, უფრო დიდ-ძალი ხალხი შეგროვდა თეატრის დარბაზში. თუმცა ხმა გავრცელდა, უბილეთოდ არავის შემოუშვებენო, მაგრამ წევრთა და არა წევრთ გაავსეს უკვე თეატრის დარბაზი—პარტერიცა და ქანდარაც. მეთორმეტე საათზე მოვიდა გუბერნიის წინამძღოლი და გამოაცხადა, რო კრებას ვერ გავხსნი, სანამ არა წევრნი კრებისა არ გავლენ დარბაზიდანაო. თავმჯდომარეს ქალაქის ინჟენერიც დაეხმარა და გამოაცხადა, რომ ქანდარა ვერ გაუძლებს მაგდენს ხალხს. პასუხის მგებელი მე ვარ და გთხოვთ, დასცალოთ ქანდარაო. თავ. დავ. მიქელაძემაც მიმართა ამგვარისავე თხოვნით და სხვა. საბუთებიც ბევრი წარმოუდგინა შეგროვილს საზოგადოებას, მაგრამ არაფერმა არ გასჭრა, ქანდარიდან ერთი კაციც არ დაიძრა.

თავმჯდომარემ კრება გადასდო მეორე დღისთვის.

11 აპრილი

ამ დღეს ბილეთებით უშვებდნენ. მაზრის წინამძღოლნი თავ-თავიანთ თავად-აზნაურთ ურიგებენ ბილეთებს. ქანდარაზე ძალიან ცოტა ხალხია, მანდილოსნები სულ არა სჩანან.

კრების დაწყებისათანავე წაიკითხეს ოქმი 9 აპრილის კრებისა. საგანგებო კრება შეწყდა და კერძო თათბირი გაიმართა თავ. ს. გ. წერეთლის თავმჯდომარეობით, რომელიც გუშინ-წინ არჩეულ კომისიის თავმჯდომარეა. კომისიამ წერილობითი ოქმი არ წარმოუდგენია იმის თაობაზე, თუ რა შეიმუშავა, რა სახსარი გამოსძებნა თავად-აზნაურთა და გლეხთა შორის ატეხილ უთანხმოების მოსასპობად. მთავრობის დახმარებაზე კომისიამ უარი განაცხადაო ერთხმად; ვთხოვოთ პრესას დახმარება გაგვიწიოსო: ხალხში ცრუ-პროპაგანდისტების წინააღმდეგ წეს-რიგის ჩამომგდებ პროპაგანდისტების გაგზავნა და ლეგალურ პროკლამაციების გავრცელება უადგილოდ სცნო; თავად-აზნაურობამ თავად იკისროს და მოავაროს ეს საქმეო. ბევრმა საყვედურით მიმართა კომისიას. დიდი იმედი გვქონდა თქვენი და ვერაფერიც ვერ გაგირკვევიათო. თითონ კომისიის წევრთა შორის ასტყდა კინკლაობა: არა მე ამ აზრის ვიყავი, არა მე ამ აზრისაო ჩვენს კერძო თათბირზეო...

თავ. დ. ა. მიქელაძემ მოთმინება ურჩია თავად-აზნაურობას. მთელს რუსეთში ისეთი ხანაა ახლა, რომ ორ-სამს თვეში რაიმე უნდა მოხდეს უთუოდაო. მანამდის გენ.-გუბერნატორის დახმარებას მივმართოთო, ვსთხოვოთ მოიწოდოს ყოველ მაზრებიდან ხალხისგან ორ-ორ სამ-სამი წარმომადგენელი და ურჩიოს მათ დამშვიდება... სილ. ხუნდაძე დიდს მწუხარებას აცხადებს იმის გამო, რომ ნასწავლსა და შეგნებულს ახალთაობასა და საზოგადოდ ინტელიგენციას ბრალსა სდებენ, ვითომ მათ რაიმე კავშირი ან ერთობა ჰქონდეთ იმ ცრუ და გარყვნილ მქადაგებლებთან, რომელნიც ძარცვა გაგლეჯისა, დარბევისა და სისხლის ღვრის მქადაგებელნი არიან ხალხშიო და კითხულობს კრების წინაშე თავის წერილობით მოხსენებას, რომელიც ინტელიგენტთა ხელ-მოწერით დაბეჭდილ იქმნება ადგილობრივს გაზეთებში.

დიდ-ხანს ილაპარაკა ნ. ტ. თავდგირიძემ. რამ შექმნა ახლანდელი განხეთქილება მემამულეთა და მუშათა შორისაო, სთქვა იმან—მხოლოდ ახლანდელმა წესწყობილებამ, იმ მმართველობამ, რომლის ძალა-მნიშვნელობა და ღირსება თავად-აზნაურობას დღემდის სწამს, დღემდის ქედს იხრის. არის ისეთი დრო ხალხის ცხოვრებაში, როცა მოქალაქობრივი გაბედულობა არა თუ მოსაწონია, სავალდებულოც არის. ასი წელიწადია, რაც ახლა გამეფებული წესწყობილება ძირს უთხრის, ასახიჩრებს მთელს ხალხს განურჩევლად წოდებისა. ეს შეიგნო ყოველმა წრემ სრულიად რუსეთის იმპერიაში, ყველასათვის გასაგები, საანბანო ჭეშმარიტებაა. თუ მთელ რუსეთის საზოგადოება, რომლისთვისაც ახალი წყობილება საუკეთესო, სასურველი მომავალის დამყარების კითხვაა, სცდილობს ახლანდელ წყობილების შებრძოლებას, ჩვენ, ქართველობა, რომლისთვისაც ახალ წესების მოპოება ყოფნა-არ ყოფნის გადაწყვეტის კითხვაა, მთელის ჩვენის არსებით, ყოველ საშუალებით უნდა ვცდილობდეთ ახლანდელ წეს-წყობილების დაქცევას. ერთად ერთი საშუალება თავად-აზნაურობის ხსნისა, ნორმალურს კალაპოტში ჩადგომისა, ყოველის არსებით შებრძოლება, წინააღმდეგობის გაწევაა იმ წყობილების, რომლის მეოხებით სული გვეხუთვის ყველას—მთელს ხალხს. ჩვენ გვიშველის მხოლოდ ჩვენთვის განსაკუთრებულად დაარსებული წარმომადგენლობითი მმართველობა. მალე შეიძლება რუსეთში დამყარდეს ახალი წეს-რიგი, წარმომადგენლობით უფლებაზე დაფუძნებული, შეიძლება წარმომადგენელთა რიცხვში ჩვენის ქვეყნის შვილებსაც ჰქონდეთ 5 ან 7 ხმა, რვაას-ათასს კაცში მაგრამ დიდად საფრთხილოა—ისევ ძველ წესის მსხვერპლად არ დავრჩეთ: რაც უნდა შეგნებული და კარგის მიმართულებისა იყოს უცხოელი, რუსი—მაინც უძნელდება მას სხვა ტომის ხალხის ყოველს თვისების შესწავლა. ახლაც, მაგალითად, რაც მთელი რუსეთის მოწინავე მიმართულების ჟურნალ-გაზეთობა აალაპარაკა გურიის მოძრაობამ, რუსეთის ნასწავლს და შეგნებულს ნაწილს დღესაც ვერ გაუგია—ვინ არიან გურულები,—ამ ხალხს წერილობითი ისტორიაც არა აქვთო, აუწყებენ ქვეყნიერებას, ამ ხალხში მოხეულები ქართველებია და ამიტომ თარჯიმანების საშუალებით ელაპარაკებიან მკვიდრთაო—უმთავრესი მიზეზი მათის მოძრაობისა ეს არისო... რაც შეეხება ახლანდელ გამწვავებულ მდგომარეობის გამასწორებელს საშუალებას, მე დიდი წინააღმდეგი ვარ ადმინისტრაციის ჩარევისა რამე საქმეში ან ახლანდელ წყობილებისადმი რაიმე თხოვნით მიმართვისა. ერთხელ და საუკუნოდ უნდა დავკარგოთ ეს წესი და ვირწმუნოთ ის, რომ ახლანდელი მოხელეები სასიკეთოს ვერაფერს ვერ დაგვიმყარებენ. უნდა არჩეულ იქნას საზოგადოებისაგან სანდო პირები და იმათ დაევალოთ როგორც ბეჭდვით, ისე სიტყვიერ ქადაგებით და გავლენით დაამყარონ უფრო მართალი, დაწვა-დარბევის დამგმობი აზრებიო.

ხანგრძლივ „ვაშას“ ძახილით და ტაშით მიეგება კრება ნ. თავდგირიძის სიტყვას,

—შემდეგ თავ. თავდგირიძისა ილაპარაკა კ. ჩიკვაიძემ. იმერული, სხარტული და ოხუნჯობით სავსე სიტყვა ბ-ნ ჩიკვაიძისა აგრეთვე ტაშით დააჯილდოვა კრებამ. ნიკ. თაყაიშვილმაც კი გააცინა ორჯელსამჯელ თავის „რეჩით“ საზოგადოება, ხოლო გულით სიცილი არც ეგ იყო. მეო—სთქვა „რეჩის“ ბოლოს თაყაიშვილმა—ძალიან მადლი შემიწირავს, დასტურ, იმ უჩენიკებისათვის, სტავლა რო გაწყვიტეს. თუკი დღევანდელ წეს-წყობილებაში იმას სტავლულობენ ჩვენი შვილები, რომე დაგვწვან, დაგვდაგონ და დაგვხოცონ, ბარემ ნუ ისტავლიან...

აქ თავად-აზნაურთა კრებას თავ. დ. იაშვილმა წარმოუდგინა თავის გვარეულობის სრული გენეოლოგია. დაიწყო პეპერიდან და ჩამოვიდა თავის თავზე... ეინაიდან უსაზღვროა მოთმინება იმერეთის თავად-აზნაურობისა, მოითმინა მან ეს გრძელი მოთხრობა იაშვილთა გვარეულობისა, მაგრამ როცა დიდთა თავადთა წარმომადგენელი შეეხო სრულიად უადგილოდ ვლ. მესხიშვილს, კრებამ არ მოუწონა ეს და ვლ. მესხიშვილმაც პასუხი მისცა. უცნაური რამა სთქვა თავადმა:—აქ, ჩვენ შორის იმყოფება დღეს ის პირიო, რომელიც ერთხელ ძალიან ავად იყო, ჩვენ შევეწიეთ, განვკურნეთ და ახლა მისთანა არმეებს რადგენს ქართულს სცენაზე, რომ ხალხს უარესად ამხედრებს ჩვენზეო:“ ასეთმა განცხადებამ კრების უმეტესობაც გააცხარა და მით უფრო მესხიშვილიც გაანაწყენა მოულოდნელად ეს ის იაშვილი გახლავთ, გუშინაწინ რო „ცნობის-ფურცელს“ უპნინა უფხოდ. ასევე უშნოდ უკბინა იმავ „ცნობის ფურცელს“ ერთმა წარჩინებულმა თავადიშვილმა, რომლის მოხსენება წაკითხულ იქმნა კერძო თათბირის გათავებისა და საგანგებო კრების დაწყებისათანავე...

პრესაზე საზოგადოდ უკმაყოფილებას გულისწყრომით აცხადებს ზოგი თავად-აზნაურთაგანი.

იკამათეს კიდევ იმავ დღევანდელ პირ-ვარამზე, იკამათეს ბევრი, მხოლოდ სულ თითქმის ერთსა და იმავე კილოზე, და ბოლოს გაირკვიეს შემდეგი დასკვნა:

საზოგადოებამ საერთო მშვიდობიანობის დამყარების შესახებ მიიღო ბ-ნთ ს. ხუნდაძის, ნ. თავდგირიძის, დ. მიქელაძის და კალისტ. ჩიკვაიძის წინადადებანი, რომელთა შინაარსი დაახლოვებით შემდეგია.

ა. ჟურნალ-გაზეთების საშუალებით გავრცელებულ იქმნას საზოგადოებაში აზრები, რომ ძარცვა-გლეჯა-დაწვის და ყოველგვარ ძალმომრეობის ქადაგება და გავრცელება სოფელში დასაგმობად ცნობილია საზოგადოების ყოველ გონიერ და შეგნებულ წევრის მიერ. ბ. არჩეულ იქმნას საზოგადოების ყოველ წოდებისაგან ნდობა-პატივისცემით აღჭურვილნი პირნი. რომელთაც დაევალოთ სჯაბაასით, თუ ქადაგებით დამყარდეს შესაძლებელი, სასურველი და თანხმობა, ერთობა წოდებათა შორის. ამავე პირთ დაევალოთ არსებითი მორიგი ახლავე მოსახერხებელი ზომები შეიმუშავონ ისეთი, რომელიც „Modus vivendi“ ყველა წოდების ერთად საცხოვრებლად მოუცილებელი საჭირო საშუალებანი—რეფორმები და წარუდგინონ ახლად დანიშნულ ნამესტნიკს. გ. ეთხოვოს ნამესტნიკს ედროვოს თავად-აზნაურობას სახელმწიფო ბანკში დაგირავებულ მამულების მორიგ გადასახადის შეტანა.

მეორე მუხლში მოხსენებულ პირთა სიაში მოხვდნენ: ივ. (კიტა) აბაშიძე, ნ. თავდგირიძე, იას. ბაქრაძე, ს. ხუნდაძე, სიმ. ჯაფარიძე, მ. ქიქოძე, სერ. ჯაფარიძე და დ. წულუკიძე.

კრებამ ერთხმად მიიღო როგორც უმაღლესად წარსადგენი ადრესი, აგრეთვე ყველა ზემო მოყვანილი მუხლები.

ადრესი

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობისა.

ხელმწიფევ! თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის უმაღლესი ზრუნვა ყველა თქვენის ქვეშევრდომთა კეთილ დღეობისათვის, ეროვნებისა და სარწმუნოების განურჩევლად, ცხად იქმნა მართებელ სენატისადმი მიცემულ ბრძანებასა და შინაგან საქმეთა მინისტრის სახელობაზე 1905 წ. 18 თებერვალს გამოცემულ რესკრიპტში.

ქუთაისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობა, ესმის რა უაღრესი მნიშვნელობა ამ ისტორიულ აქტებისა, დამშვიდებულ გულით ეგებება მათ და პირველად ქძლევა იმედი, რომ მალე განხორციელდება ქართველ ერის სურვილი და სასოება შესახებ თავისუფალ შინაურ თვით-მმართველობისა, რომელიც საფუძვლად ჰქონდა დადებული ერთმორწმუნე რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითს შეერთებას.

ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა რუსეთის მოძმე ერთან ერთად აღჭურვილა საერთო რუსეთის სახელმწიფოს კეთილდღეობისადმი მისწრაფებით და ღრმად დარწმუნებულია, რომ ახლოა ის დღე, როდესაც თავისუფლად არჩეულნი მთელის რუსეთის ხალხის წარმომადგენელნი შეუდგებიან რუსეთისა და მის განაპირა ქვეყნების მართვა-გამგეობის საქმეთა სასურველად მოწესრიგებას. ქუთაისის გუბერნიის ქართველი თავად-აზნაურობა უერთდება ტფილისის გუბერნიის ქართველ თავად-აზნაურობის-მიერ შემუშავებულ უქვეშევრდომილეს ადრესში გამოთქმულ სურვილს და თავის წმინდა მოვალეობად სთვლის გამოსთქვას თავისი შეურყეველი რწმენა, რომ ქართველ ერის დაწყნარებისა და მის მშვიდობიან, კულტურულ განვითარებისათვის ერთად-ერთი საშუალება ის არის, რომ საქართველოს,—რომელიც შესდგება ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიებისაგან, ბათუმის, სოხუმის და ზაქათალის ოლქებისაგან,—მიენიჭოს უფლება, თავისი შინაური საქმეები განაგოს [illegible]

ქართველი თავად-აზნაურობა იმავე დროს [illegible] თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობის ფერხთა წინ [illegible]

რიულ საფუძველს, ნაკურთხს თქვენის, უმოწყალესო ხელმწიფევ, გვირგვინოსან წინაპართა ნებით.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ქუთაისი, 14 აპრილი. გუბერნატორმა ნება დართო, შეიკრიბნენ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლები 23 აპრილს. დღეს სამეგრელოდან დაჭერილი მოიყვანეს 70 კაცი; არიან ქალები, სტუდენტები და სალდათები.

ტფილისის პედაგოგების კრება

დიდძალი ხალხი შეიკრიბა ოთხშაბათს (13 აპრილს) სადამოს სამეურნეო საზოგადოების დარბაზში. თუმცა ბევრი აკლდა—გიმნაზიების მასწავლებელნი ცოტანი იყვნენ, სამაგიეროდ ბევრი იყო დაბალ სკოლების მასწავლებელნი.

თავმჯდომარედ კრებამ არშაკ ბაბოვი აირჩია. 18 თებერვლის ბრძანების ძალით უფლება გვაქვს შევიკრიბნეთ და საზოგადო საკითხებზე თათბირი ვიქონიოთ, ამიტომ ვერავინ ვერ დაგვიშლისო, სთქვა თავმჯდომარემ. შემდეგ ბაბოვი შეეხო სკოლის საზოგადო მდგომარეობას: პირდაპირი დამოკიდებულება არსებობს სკოლასა და საზოგადოებრივ ცხოვრებას შორის—განახლების ხანაში სკოლაც ცოცხლდება, რეაქციის დროს იხუთება, შებორკილია, რადგან საზოგადოება მოკლებულია პოლიტიკურ უფლებას და არ შეუძლია დაიცვას კარგი სკოლა ან გააუმჯობესოს იგი. დღეს სკოლა სახელმწიფოს სრული მონოპოლიაა და მონოპოლიურ უფლებას ხმარობენ აღმაშფოთებელ ექსპერიმენტების მოსახდენად ჩვენ მოზარდ თაობაზე. სახალხო განათლების ორგანოებმა დაჰკარგეს ყოველივე ნდობა საზოგადოებისა და,—რაც კიდევ უარესია - ჩვენც, პედაგოგებმაც, დავკარგეთ იგი. ვეღარ გავჩუმდებით, წავიდა „ჩეგო იზვოლიტეს“-ა და „ჩტო პრიკაჟეტე“-ს დრო; ეხლა თამამად უნდა გამოვთქვათ ჩვენი მოთხოვნილებანი და მოვითხოვოთ, რომ მოგვისმინონო.

თავმჯდომარის შემდეგ პირველად წაიკითხა ბატონმა ცვეტნიცკიმ თავისი მოხსენება—„ეხლანდელი მდგომარეობა რუსულ საშუალო სკოლისა და პირობები მის ძირითად გაუმჯობესებისა“, მოხსენება დასაბუთებული და გრძნობით დაწერილი. სამწუხაროდ, უადგილობის გამო, დღეს ვერ მოვიყვანთ მისს შინაარსს დაწვრილებით. დედააზრი მოხსენებისა ის იყო, რომ დღემდე მთავრობა სცდილობდა სკოლა ისე მოეწყო, იქ თავის ერთგული და მორჩილი მსახური გაეზარდა. სკოლაში დღემდე ურცხვი პოლიტიკა [illegible] გამეფებული, მოზარდ თაობის დასახიჩრებლად მიმართული განსაზღვრულ მიზნისათვის. რად უნდა უკვირდეს ვისმე, რომ [illegible] მოსწავლე ახალგაზდობა ასეთ ცხარე პროტესტს აცხადებს არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ; ეს წესწყობილებაა, რომ ამახინჯებს სახალხო განათლებას და განსაკუთრებით სკოლას, გაათავა ბ-ნმა ცვეტნიცკიმ თავისი მოხსენება.

მწარე გრძნობა ნარევი სიტყვა სთქვა ბ-ნმა ჩიტაძემ. ცოცხალ სულიდან მკვდარსა ვქმნით დღევანდელი პედაგოგები; სირცხვილია, ბოროტ-მოქმედებაა დღესაც გავჩუმდეთ და მხარი არ მივცეთ მებრძოლთაო.

ივ. რატიშვილმა აღნიშნა ის უკუღმართობა, რომლის წყალობით დღეს ბუნებრივს, ნამდვილ პედაგოგიურ მოთხოვნას პოლიტიკანობას უწოდებენ: სამშობლო ენაზე სწავლის მოთხოვნა „პოლიტიკად“ არის მონათლული.

ამათ შემდეგ ილაპარაკა ორატორების სხვა ჯგუფმა. საზოგადოთ ჩვეულებაა თავმჯდომარეს გვარი უთხრას მოლაპარაკემ. ერთმა ორატორმა კი პირდაპირ დაიწყო—გვარს ვერ გეტყვით, რადგან ეხლანდელ რუსეთში ვცხოვრობთ, და ვინ იქნება ისეთი, რომ ვერ მიხვდეს ამის მთქმელის გულის ტკივილს და არ თანაუგრძნოს მას!

რას მიელ-მოელდებით? ცალიერ სიტყვის რახარუხი რას გააწყობს? ილაპარაკებთ, ლამაზლამაზ ან მაგარ-მაგარ სიტყვებს იტყვით, სახლში წახვალთ, მშვიდობიანად მოისვენებთ და ძველ აღუშფოთებელ ცხოვრებას განაგრძობთ; სიტყვის დრო წავიდა, დღეს საქმეა საჭირო; დიდი ხანია, თავგანწირვით იბრძვის მშრომელი ხალხი განთავისუფლებისათვის და, თუ მართლა გული გეწვისთ, საქმის გაკეთება გინდათ, გამოდით, მშრომელ ხალხს გვერდში ამოუდექით და მასთან ერთად იბრძოლეთო. მხურვალედ და გატაცებით ამტკიცებდნენ ახალგაზდა ორატორები.

12 საათზე დასრულდა კამათი და მსურველთ შემდეგ რეზოლიუციაზე მოაწერეს ხელი:

„ჩვენ, ტფილისის პედაგოგები, ამდენის ხნის განმავლობაში მოთმინებით ამტანნი ბიუროკრატიულ წესწყობილების საშინელ სიმძიმისა, რომელიც ათახსირებდა ჩვენს პიროვნებას და ჩვენის საშუალებით ამოდენა ახალთაობას, დღეს, საერთო განახლების დროს, ხმა მაღლა ვაცხადებთ, რომ მოთმინების ფიალა აივსო, აღარ არის ძალა განვაგრძოთ სამარცხვინო ცხოვრება მონისა, რომლის აზრსა და გრძნობას განაგებს ეგრედ წოდებული სახალხო განათლების სამინისტრო თავის კანცელარიიდან. ვითხოვთ, რომ ჩვენვე ვიყვნეთ პასუხისმგებელნი ახალთაობის წინაშე, რომელიც აღსაზრდელად გვყავს აყვანილი. გაგვანთავისუფლონ სამაგალითო პროგრამის და პლანებისაგან; გაგვანთავისუფლონ გულთმისან მზრუნველებისა, დირექტორებისა და ინსპექტორებისაგან; გაგვანთავისუფლონ ბიუროკრატების უქმ ფანტაზიის ნაყოფებისაგან; თავისუფალნი უნდა გაგვხადონ ახალთაობის თავისუფალ, წმინდა აღზრდის საქმეში.

ჩვენ, პედაგოგებს, სულ არ დაგვიკარგავს სახე ღვთისა, სულ არ გადავჩვევივართ ფიქრსა და გრძნობას, თუმცა რკინის მუხრუჭში ვიმყოფებით, და შევძლებთ ცოცხალი სული ჩავბეროთ თანამედროვე სკოლის უსიცოცხლო სხეულში. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ წვრილმანი რეფორმები, თუნდ ნამდვილ ლიბერალურ ხასიათისა, ვერ აღადგენ მკვდარს, ვერ დაუბრუნებს მას სიცოცხლის ნიშს; ასეთ ღონისძიების საშუალებით იგი მხოლოდ ნახევრად ცოცხალი გახდება, რომელიც ისევ მალე მიდგება სიკვდილის პირს. მაგრამ ამასთანავე ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ძირითადი რეფორმა სასკოლო საქმისა შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ რუსეთში, რომლის ბედი იქნება რუსეთში მცხოვრებ ყველა ერების თავისუფლად არჩეულ წარმომადგენლების ხელში: არჩევანი უნდა იქნეს ფარული, ყველასათვის თანასწორი განურჩევლად სქესისა, პირდაპირი და საყოველთაო, რომელსაც მხოლოდ მაშინ მოჰყვება სასურველი შედეგი, როცა უზრუნველ-ყოფილი იქნება სრული თავისუფლება სიტყვისა, წერისა, შეკრებისა, აგიტაციისა; როცა ხელშეუხებელი იქნება პიროვნება და ბინა და განთავისუფლებენ ეგრედ წოდებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ.“

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 აპრილი

ლონდონი, 13 აპრილი. არაა სწორი მინისტრ რუვიეს აზრი, ვითომც მუკდენის ბრძოლა ყოფილიყოს გერმანიის პოლიტიკის მიზეზი.—„ლლოიდ“-ის მთავარ კანტორაში შეკითხვამ აღმოაჩინა, რომ ის ორი ჯავშნოსანი და ორიც კრეისერი, რომელნიც ინგლისის ორთქლმავალ გემმა „კალლას“-მა შეამჩნია კუნძულ ლინტინგთან, კანსონის პუხტაში, რუსების-კი არა, ინგლისის სამხედრო გემები ყოფილან.

ტოკიო, 13 აპრილი. 11 აპრილს, კაიუანთან, რუსის 5 ბატალიონმა, 16 ესკადრონმა და ერთმა ბატარეიამ იერიში მიიტანეს იაპონელების რაზმზე. იაპონელებმა იერიშით გვიპასუხეს და უკან დაიხევინეს ჩვენს ჯარს, ჩრდილოეთისაკენ. იაპონელებმა 38 კაცი დაჰკარგეს. რუსის 6 ბატალიონმა და 16 ესკადრონმა იერიში მიიტანეს იაპონიის რაზმზე ჩალტუფუსთან, მეორე რაზმმა-კი, რომელიც 12 ესკადრონისა და ერთის ბატარეისაგან შესდგებოდა, იერიში მიიტანა ოიაოტაციაზე. მოიგერიეს ორი იერიში.

ქრისტიანია. კრონპრინცმა რეგენტმა წინადადება მისცა ნორვეგიის მთავრობას, უნიაზე მოლაპარაკება განაახლეთო; ნორვეგიის მთავრობამ უპასუხა, მოლაპარაკებას ვერ დავიწყებთ, სანამ ნორვეგიის საკონსულოებს არ დააარსებთო. სტორტინგმა ამ საქმეზე დანიშნა კომიტეტი, რომელიც თავის პროექტს წარადგენს. მოლაპარაკება უნაყოფო იქნებოდა და საქმის გადაწყვეტას შეაჩერებდა, ნორვეგიას-კი უსათუოდ უნდა მიეცეს საკონსულოების დაარსების უფლება. ნორვეგიის ეკონომიური განვითარებაც ბეჯითად ითხოვს ამ რეფორმას. მოლაპარაკება თავისუფლად უნდა სწარმოებდეს, რადგან ძალდატანებითი უნია-კი არა, მხოლოდ ერთმანეთის ნდობა უზრუნველ-ჰყოფს ნორვეგიისა და შვეციის ბედნიერ მომავალსო.

კაზანი. „ვოლჟსკი ლისტოკ“-ი აღნიშნავს, რომ მაღალ სასწავლებლებში ლექციების მოსპობის გამო, სტუდენტები საზღვარ გარედ მიდიან საგაზაფხულო სემესტრის ლექციების მოსასმენად.

ოდესა. გემებზე მოსამსახურეთა დავა მეგემეთა საზოგადოებებთან ჯამაგირის მომატებაზე გამწვავდა. საზოგადოებანი ყირიმსა და საზღვარ-გარედ გემებს აღარ ჰგზავნიან და მოსამსახურეებს არ უთმობენ. ნიკოლაევისა და ხერსონისაკენ წესიერი მიმოსვლაა.

როსტოვი დონზე. ტეხნიკურ საზოგადოების როსტოვის განყოფილებაში საკითხი აღძრეს ყველა სპეციალურ ხელობის ინჟენრების კავშირზე. უმეტესობამ მოინდომა კავშირში მონაწილეობის მიღება.

სტამბოლი, 13 აპრილი. ცნობა მიიღეს, რომ სალონიკში ბევრი თოფის წამალი და ყუმბარა შეიტანეს. აღმოაჩინეს, რომ აჯანყებულნი ბოლგარნი მაკედონიაში ხალხს ურიგებენ მოწოდებათ, რომლებშიაც ნათქვამია, მალე აჯანყება მოხდებაო; ბოლგარიის მთავრობა აჯანყებულთ ნამდვილ დახმარებას გაუწევს, ომის გამოცხადებას არ მოერიდება, მზადაა სამხედრო მოქმედება დაიწყოს და ოსმალები დამარცხებულ იქნებიან, რადგან ოსმალეთის ჯარის მობილიზაცია დაგვიანდება იმის გამო, რომ ოსმალეთს არ შეუძლიან ჯარის სწრაფად გადმოყვანაო. გლეხები მუშაობას სტოვებენ და აჯანყებულთა რაზმებს უერთდებიან.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

14 აპრილი

ბერლინი, 13 აპრილი. „ჰავასი“ იუწყებოდა საიგონიდან, კრეისერ „დიანაი“-ს კომანდა როჟესტვენსკისთან გადავიდაო. ეს ცნობა არაა სწორი, რასაც ის სასტიკი ზომები ამტკიცებენ, რომელნიც საიგონში მიიღეს ნეიტრალიტეტის დასაცველად. „დიანაი“-ს კომანდას მუდამ დღეს სთვლიან, რაც პორტის კომანდორს ხსენდება ხოლმე. კომანდა სრულადაა, რამდენიმე ავადმყოფს გარდა.

კიევი, 13 აპრილი. საგუბერნიო საქმეების საკრებულომ გააუქმა საბჭოს დადგენილებანი ქალაქის იმ ხარჯისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელიც პოლიციისა და მისის ნაწილებისთვის წყლის საზიდავთ არის საჭირო.

პეტერბურგი, 12 აპრილი. საგანგებო ელჩად და რწმუნებულ მინისტრად პეკინში, გარდაცვალებულ ლესსარის ადგილზე, დაინიშნა რუსეთ-ჩინეთის ბანკის დირექტორი პოკატილოვი, რომელიც კარგად იცნობს იმ მხარეს და პატივცემულია ადგილობრივ მთავრობისაგან.

პარიზი. მეფე ედუარდი შაბათს მოვა. კვირა დღეს ლუბე სადილს გაუმართავს იმის პატივსაცემლად.

კანეია. აჯანყებულთ გამოუცხადეს უცხოეთის კონსულებს, სახელმწიფოთა ჯარებს წინააღმდეგობას არ გავუწევთო.

ვიატკა. ქალაქის საბჭო შუამდგომლობს შინაგან საქმეთა მინისტრთან, დაუყოვნებლივ გამოიცეს კანონი სიტყვისა, ბეჭდვისა, პიროვნებისა, სინიდისისა და კრებათა თავისუფლებაზე.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

13 აპრილი

პორტ-ლუი, 12 აპრილი. (რეიტ.) ნება დართეს გერმანიის ორთქლ-მავალ გემს „ჯულიეტას“ წაიღოს 600 ტონა ნახშირი. გემი საიგონს მიდის.

პეკინი. პოკატილოვის დანიშვნას თანაგრძნობით მიეგებნენ.

ტოკიო, 13 აპრილი. (რეიტ.). გადაწყვეტილია მთელ ფორმოზაზე ომიანობის დროის დებულების გამოცხადება.

სტამბოლი. დიდ სახელმწიფოთა საელჩოებმა მიაქციეს პორტის ყურადღება იმ მკვლელობასა და ძარცვა-გლეჯვაზე, რომელნიც ბერძნებმა ჩაიდინეს ზაგორიჩინაში. დიდმა ვეზირმა უბრძანა გენ.-გუბერნატორ ხილმი-ფაშას, წავიდეს მონასტირში საქმის გამოსაძიებლად. ოსმალეთის მთავრობა ენერგიულად სდევნის ბერძენთა რაზმს, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა ზაგორიჩინაში. იემენთან მიმოსვლა ჯერ კიდევ არ განახლებულა. მარშალ რიზა-ფაშას საექსპედიციო რაზმისაგან არაფერი არ ისმის.

ტაშკენტი, 13 აპრილი. „თურკესტ. უწყებებ“-ი იუწყებიან, ქუჯაში ჩინეთის ორი დივიზია მიდისო. სხვა წყაროებით, გააძლიერეს აგრეთვე ავგანისტანის გარნიზონები და მორტირის ბატარეია მიიტანეს ჰერატში.

მოსკოვი, 13 აპრილი. ბეჭდვით სიტყვის მთავარ სამმართველოს უფროსმა მიიღო მოსკოვის ყველა პერიოდულ გამოცემათა რედაქტორები. მოვიდნენ პეტერბურგის გაზეთების თანამშრომლები, რათა გაეცნონ აქ დაარსებულ პოლიტიკურ პარტიებს.

პეტერბურგი, 13 აპრილი. პუტილოვის ქარხნის ყველა მუშებმა ხელ-წერილი დასდეს, რომ ისინი დაიცავენ არსებულ წესიერებას, არ წარუდგენენ ადმინისტრაციას ახალ მოთხოვნებს და აღარ გაიფიცებიან კვლავ. ამიტომ ქარხნის გამგეობამ გადასწყვიტა არ დახუროს ქარხანა. გუშინ დასრულდა საფაბრიკო ინსპექტორთა კრება, რომელიც მოწვეული იყო მუშათა საკითხის გამოსარკვევად. სიეზდმა სასურველად სცნო მუშების ორგანიზაციები.

მოსკოვი, 13 აპრილი. დიდ მთავრის სერგი ალექსანდრე ძის მკვლელი პეტერბურგში გადაიყვანეს. მისმა დამცველებმა კასაციური საჩივარი შეიტანეს იმის შესახებ, რომ ხალხი არ გაუშვეს განჩინების გამოცხადების დროს სასამართლოს დარბაზში.

ადესა. ნავთ-სადგურის ქუჩაზე აფეთქება მოხდა, რამაც ცეცხლი გააჩინა. მიზეზი არ იციან, ქალაქში პორტის უფროსის განცხადებები გაკრული, რომლებშიდაც უკრძალავენ კომანდებს პორტის თავის ნებაზე მიტოვებას.

კალიში, 13 აპრილი. ველუნში, იასინსკის სადგომში, შეცვივდა რამდენიმე კაზაკი. სცემა ოჯახის უფროსს და მისს ცოლს და სამს მდგმურს, რომელთაგან ერთი დასჭრა კიდეც. შეტაკების დროს დაიჭრა ერთი კაზაკიც. მიზეზი, ქალის გამო ჩამოვარდნილი ჩხუბია.

სევასტოპოლი, 13 აპრილი. „რუსეთის საზღვაოსნო და სავაჭრო საზოგადოება“-მ განკარგულება მოახდინა, ის გემები, რომელნიც, ადესაში გაფიცვის გამო, ყირიმ-კავკასიის გზით მიდიან სევასტოპოლში შეაჩერეთ და იქიდან უკანვე დააბრუნეთ კავკასიაშიო. გუშინ მოსულ გემის კამანდამ მოითხოვა ადესის გზით წავიდეთო, მაგრამ უარი მიიღო, რის შემდეგ მას გაუსწორდა გემის უფროს. კომანდა ადესაში წავიდა. „რუსეთის საზოგადოება“-მ თხოვნით მიმართა მთავარ საზღვაო შტაბს, მოგვეცით სამხედრო კომანდა, რათა აქ გაჩერებული გემი ყირიმ-კავკასიის გზით გავგზავნოთო.

პეტერბურგი, 14 აპრილი. ოფიციალური. უმაღლესად ბოძებული მართებულ სენატისადმი სახელობითი უკაზით, რომელიც 1905 წ. 12 აპრილს გამოვიდა, მოსკოვის გენ.-გუბერნატორისა და მისს თანაშემწის თანამდებობაზე ხელახლა დაინიშნენ საჭირო პირნი და ამასთან გრადონაჩალნიკის სამმართველო შეუცვლელად რჩება. გენ.-გუბერნატორად დაინიშნა იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა სამზრუნველო საბჭოს მოსკოვის საკრებულოს საპატიო მზრუნველი, კავალერიის გენერალი, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე კოზლოვი. უმაღლესი რესკრიპტი ახალ დანიშნულ გენ.-გუბერნატორის სახელზე: „ალექსანდრე ალექსანდრეს ძე! თანახმად ჩვენის სახელობითის უკაზისა, ბოძებულის მართებულ სენატისადმი ამა წლის 1 იანვარს, მოსკოვის გენ.-გუბერნატორის ადგილი ცარიელი დარჩა დროებით.—ვინაიდან განზრახვა გვაქვს ამ ჟამად სამნიშვნელო რეფორმები მოვახდინოთ შინაგან საქმეებში, ამიტომ დროის შესაფერად ვცნობ დავნიშნო ვინმე ამ ადგილზე და გადავსწყვიტე მოგიწოდოთ თქვენ მოსკოვის გენ.-გუბერნატორის დიდსა და პასუხსაგებ პოსტზე. თქვენი ადმინისტრატიული ნიჭი და ცნობილი ერთგულება სამსახურის ვალისადმი მუდამ იქცევდნენ მორჩმულთა ჩემის მამისა და პაპის ყურადღებას, რომელნიც გაკისრებდნენ თქვენ ძნელ თანამდებობათა ასრულებას მოსკოვისა და პეტერბურგის პოლიციაში. პირველ სატახტო ქალაქში თქვენ ორჯერ იყავით დანიშნული სამსახურში და, თქვენის დაუღალავის მუშაობით ქალაქის გაშენების სასარგებლოთ, თქვენ უყოველთვის აქცევდით ყურადღებას ადგილობრივ ნამდვილ საჭიროებებს და მცხოვრებლებისთვის სარგებლობის მიტანას, რითაც მთელის მოსკოვის მკვიდრთა საერთო პატივისცემა დაიმსახურეთ. სამწუხაროდ უკანასკნელ ხანებში ავადმყოფობამ გაიძულათ თხოვნა შემოგეტანათ გაძლიერებულ შრომისაგან განთავისუფლებაზე, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ახალ პოსტზე დანიშვნის შემდეგ, თქვენ ძალს შესწირავთ ჩემსა და სამშობლოს სამსახურს, სანამ ნებას მოგცემთ თქვენი ჯანმრთელობა. ამასთან იმედი მაქვს, რომ თქვენ მოღვაწეობას ახალ თანამდებობაზე მოჰყვება წარმატება და აყვავება ჩემთვის ძვირფასის მოსკოვისა. დავშთები მუდამ თქვენი წყალობელი“. ნამდვილზე საკუთარ ხელ მოწერილია „**ნიკოლოზი**“. 12 აპრილი 1905 წ. ცარსკოე სელო.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

14 აპრილი

გონკონგი, როგორც ფიქრობენ, ხაინანიდან გაყვანილი კაბელი გაუჭრიათ რუსებს. ერთმა აქაურმა აღმატებულმა პირმა სთქვა, რომ ინგლისს მეტი აღარ შეუძლიან მოითმინოს ბალტიის ესკადრისაგან ხაინანში ნეიტრალიტეტის დარღვევა. ინგლისის ესკადრა გუშინ გონკონგიდან რამდენიმე მილის მანძილზე იყო.

პენანგი. ღამით ყარაულები იდგა პორტში შესასვლელებთან ადგილობრივ მთავრობის განკარგულებით. ასეთივე ზომებს მიიღებენ დღეს საღამოს, ჩქარა ბალტიის მესამე ესკადრას მოელიან.

მანილლა. აქედან წავა მსწრაფლი გემი „კარლისლი“, რომელიც დატვირთული იქნება, ქვეითა ერდომდე, ბალტიის ესკადრისთვის საჭირო სამარ სურსათით. ემზადებიან, ააფეთქონ გემი, თუ იაპონელებს შეხვდნენ.

ტოკიო. აქ ფიქრობენ, რუსის ორივე ესკადრა 13—14 აპრილს შეერთდებიანო. ხოკოდატედან მოსულ დეპეშის თანხმად, ლაპერუზოვის სრუტეში გამოჩნდნენ ყინულის დიდი მთები, რომლებიც, ზოგიერთ ადგილას, სიმაღლით 8 მეტრამდე ადიან, ზღვის ზედა პირიდან.—საკვები სურსათი, დაწყობილი ციმბირის გზის გასწვრივ ფუჭდება, ვინაიდან დაგვიანდა მისი ჯარების ფრონტზე გაგზავნა.—იაპონელებმა მანჯურიის რკინის გზა გაასწორეს.

პეტერბურგი. ბაქოსა, განჯისა, ნახიჩევანისა, სალიანისა და დაღესტნის ოლქის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა წარუდგინეს შინაგან საქმეთა მინისტრს პეტიცია, რათა კავკასიის მუსულმანთა წარმომადგენელნი მიწვეულ იქნან ხალხის წარმომადგენელთა თათბირზე.

ვილკსბარრე (პენსილვანია) 13 აპრილი. დილით, ქვა-ნახშირის მადაროებში ჩასვლის დროს ათი, მუშა მოკვდა, ვინაიდან თოკი გაწყდა.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. ვ. ჯაბადარი**

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს საყოველთაოდ, რომ 25 აპრილს 12 საათზე მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწის ნაჭერი, ზომით 600 ოთხკ. საჟენი, მე-10 პოლიციის ნაწილში, ტფილისს, ტფილისის დამოჯნის პირდაპირ. ვისაც ვაჭრობა სურს, შეუძლიან პირობები გასინჯოს გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა. დილის 9½-დან 2½ საათამდე. (3—6.—2)

„პატარა-კახი“
სარდაფი კახურ ღვინოებისა, **დავით როსტიაშვილისა**, მოთავსებულია მე-10 ნაწილში, ავჭალის ქუჩაზე, მალაკნების მოედნის პირდაპირ, ზარნიკოვის მამულში № 115. ღვინოებია სხვა-და-სხვა სოფლების: ჩაიეურის, მანავის, თიანეთის და ხაშმის. ამ სააღდგომოთ ვედროა 1 მ. 50 კაპ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80 კ., 2 მანეთ. ვიდრე 3 მანეთამდის. თუნგი 50, 60, 70, 80 კ. ვიდრე 1 მანეთამდის. ბოთლი 10, 12, 14, 15, 16, 20, 25, 30 ვიდრე 40 კაპეიკამდე. (3—173—3)

„კურდღელაური“
კახური ღვინოების სარდაფი, ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ დღესასწაულებისათვის მიღებული სხვა-და-სხვა ჯურის ღვინოები. მსურველთ დაკლებულ ფასებში დაეთმობათ: ბოთლი 20 კაპ. ღირებული 17 კაპეიკად, 25 კაპ.—22 კაპ., და ასე დაკლებით. ვედრო 1 მ. 50 კაპ., თუნგი 60 კაპ. მსურველთ უნდა მიჰმართონ ჩუღურეთში: რიყის ქუჩაზე გაბაევის სახლი № 6.
პატივისცემით **ა. ი. ხახუტოვი** ტფილისში. (3—174—3)

კბილებს
ვილებ, პლომბს ვუკეთებ ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. **ვ. მ. ოიხველი**. მიხეილის ქ. №108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—172—6)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
ავეჯეულობათა სავაჭროში
(მიხეილის ქუჩა № 97)
დღესასწაულების მოახლოებისა გამო დანიშნულია **იაფი ვაჭრობა** ყოველ გვარ ავეჯეულობაზე გარდაწყვეტილი ფასია დადებული
მიიღება შეკვეთილებაც როგორც ავეჯეულობათა, აგრეთვე საამშენებლო საქმეებისაც **ამხანაგობის ქარხანაში** (ელისაბედის ქუჩა სახლი № 25). მაღაზიის გამგე ი. რუსიშვილი, ქარხნის გამგე გ. ბერძენიშვილი გამგეობის თავმჯდომარე გრ. თოიძე. (8—7)

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის საწყობში (ტფილისი, მუშტაიდი) იყიდება
ცელულიარული გრენა
(აბრეშუმის თესლი)
თეთრი და ყვითელი ჯიშისა—მისხალი 40 კაპ.; ჭიის გამოკვების, თესლის დამზადების, აბრეშუმის ძაფის ამოხვევის და საფეიქროსათვის საჭირო მანქანები და იარაღი, მეაბრეშუმეობის სახელმძღვანელოები და კოლექციები.
ფუტკრის გაშენებისათვის საჭირო იარაღი და მანქანები: სკები, ხელოვნური ფიჭა, თაფლის საქაჩავი, სხვა-და-სხვა სისტემის სკების გეგმები, სახელმძღვანელოები და სხვა საჭირო საგნები. პრეისკურანტი უფასოდ (15—5.—9)

პირველი საწყობი
შეშისა
პ. ი. კურცხალიასი
ანდრეევის ქუჩა, დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარ ღირსებისა, რცხილისა, წიფლისა, მუხისა, რთხმელისა და სხვა მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პავოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საჟენობითაც და ფუთობითაც. მყიდველს ნება აქვს შეშის ჩაჯენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენებიდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.
(90—34) გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

Сѣдельн
Спеціяльн.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (ჭ.—176—207)

საუკეთესოდ ცნობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო ავადმყოფთა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

Доз. цен. Тифлисъ, 14 Апрѣля 1905 г. Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ა.